ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №93

(საქონლის შესყიდვა)

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი 20 ივლისი 2016 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები და შესყიდვის სამართლებრივი საფუძვლები

1.1.ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიას და მეორეს მხრივ, შპს „ფავორიტი სტილი" (შემდეგში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ივანე თევდორაშვილის სახით - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის (მონეტარული ზღვრების ფარგლებში) შესაბამისად, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – სახელიანი ფირფიტის შესყიდვა (იხ. დანართი №1).
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 **კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი - 44400000** – სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 44423450 - სახელიანი ფირფიტები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **540 (ხუთასორმოცი)** ლარს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 25 ივლისის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა არსებობის შემთხვევაში).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.
10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ს/კ № 215138143	შპს „ფავორიტი სტილი" ს/კ №404379294
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №12	მის: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50 სს ბანკი ქართუ ბ/კ №CRTUGE22 ა/ა GE64CR0120007000443602
----------	----------
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კაკულია	დირექტორი ივანე თევდორაშვილი

დანართი №1

სახელიანი ფირფიტის შესყიდვა

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა და განზომილება	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი
1	სახელიანი ფირფიტა	1 ცალი	540,00	540,00	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
			ჯამი	540,00	

,,შემსყიდველი''

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
ირაკლი კაკულია

,,მიმწოდებელი''

შპს ,,ფავორიტი სტილი"

დირექტორი
ივანე თევდორაშვილი

დამოწმებულია
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ზვიად შუბითიძე